სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№10 (288) დეკემბერი, 2015 წ. www.tsmu.edu

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მინდა გულითადად მოგილოცოთ შობა-ახალი წელი!

გისურვოთ განვითარება, წინსვლა, ახალ-ახალი მიღწევები, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა!

ახალ წელს ვულოცავ ყველას – სტუდენტსა და პროფესორს, მკვლევარსა და ჯანდაცვის ყველა პროფესიონალს, ადმინისტრაციას და ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში და, შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტის წარმატება მათი წარმატებაცაა.

ცხადია, ახალი წელი წარსულის გადახედვის პერიოდია და თუ გასულ წელს გადავავლებთ თვალს, მიღწევებით შეგვიძლია ვიამაყოთ.

ჩვენ გასულ წელს სერიოზულად წავიწიეთ წინ და ფრთები შევასხით დიდ დაპირებას – 2015 ნლის გაზაფხულზე გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკასთან და საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკებთან ერთად, დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვეობის შესატყვისად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ჩვენს უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრესული გარდაქმნები, რომელიც როგორც ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ტრუდი რობერტსიმ აღნიშნა, რევოლუციურია სამედიცინო განათლებაში. გარდაქმნების მიზანს წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავება და დანერგვა.

უღრმესი მადლობა ყველას, ვისაც ამ მიღწევებში წვლილი მიუძღვის!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მიმზიდველია არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ – მსოფლიოს 53 ქვეყნის ახალგაზრდებისთვისაც, რასაც ადასტურებს ჩვენთან უცხოელ სტუდენტთა სამრავლე, მათმა რიცხვმა უკვე 2000-ს გადააჭარბა.

ჩვენი პარტნიორია 100-ზე მეტი უნივერსიტეტი და კლინიკა 40-ზე მეტი ქვეყნიდან, სადაც ყოველწლიურად სტაჟირებას გადის რამდენიმე ასეული სტუდენტი და რეზიდენტი. უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება საერთაშორისო პროგრამები: მედიცინის ფაკულტეტზე ემორის უნივერსიტეტთან ერთად – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, პარიზის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან ერთად – საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე, ავსტრიელ კოლეგებთან ერთად – ახალი სამაგისტრო პროგრამა რეაბილიტაცია სპორტში; საექთნო საქმეში, ასევე, შემუშავდა ახალი ქართულ-ავსტრიული საბაკალავრო პროგრამა.

ჩვენს უნივერსიტეტს ლექციების წასაკითხად სტუმრობენ აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების პროფესორები და წამყვანი სპეციალისტები.

სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის სრული მოდერნიზაცია. ამ ცენტრის ბაზაზე ამჟამად, კლინიკური უნარების ათვისებასთან ერთად, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE) ტარდება.

ჩვენმა უნივერსიტეტმა 2015 წელს მესამედ მოიპოვა გამარჯვება ნომინაციაში – „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამჭვირვალე საქმიანობა“.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია! ჩვენი პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის სტანდარტების მუდმივი ამაღლების ხელშეწყობაა. უნივერსიტეტი კვლავაც შეეცდება, სტუდენტებს შეუქმნას წარმატების მიღწევისათვის და შესაძლებლობის გამოვლენისათვის საჭირო ყველა პირობა;

ახალგაზრდობა სიამაყის მიზეზს გვაძლევს. ვუსურვებ მათ ნაყოფიერად გამოეყენებინოთ სტუდენტური წლები, რათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც მათზე უნივერსიტეტი და მთლიანად, ქვეყანა და საზოგადოება ვამყარებთ!

ჩვენ ობიექტური და სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ინტელექტით, შრომით და, რაც მთავარია, ჩვენი უნივერსიტეტის და პროფესიის სიყვარულით, ერთად დავძლევთ ყველა პრობლემას.

მომავალ წელს კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკადემიური სწავლების ხარისხს, ყოველმხრივ ვეცდებით – გავაუმჯობესოთ სასწავლო გარემო, საინფორმაციო და სასწავლო ტექნოლოგია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხელს შევუწყობთ აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკადემიურ პატიოსნებას, ლექციების ჩატარების ხარისხს, მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდოლოგიას. კვლავ დაინერგება სწავლებისა და შეფასების ახალი, თანამედროვე მეთოდები, რომლებიც, ფაქტების ცოდნის გარდა, სტუდენტთა კლინიკური ჩვევების ათვისებასა და შეფასებას უზრუნველყოფს. უნივერსიტეტი საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს ხელმისაწვდომს გახდის არა მარტო თავისი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების, არამედ პაციენტების და ფართო საზოგადოებისთვისაც.

წავახალისებთ ინოვაციურობასა და შემოქმედებით უნარებს, კრეატიულობას;

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, რომლის გარეშეც ყველა სხვა პირობის შესრულება ძალიან გაგვიჭირდება – ეს გახლავთ: ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა.

უნივერსიტეტი თავისი მისიის განსახორციელებლად მზად არის, ითანამშრომლოს ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ასევე, ქვეყნისა და საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, მზად ვართ განვახორციელოთ სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური, კვლევითი, სარეაბილიტაციო და სამკურნალო ღონისძიებები. მონაწილეობა მივიღოთ ყველა პროცესში, რომლის მიზანიც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა.

ჩვენ გვაერთიანებს ლოზუნგი – „ტრადიციებით მომავლისაკენ“. სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით და დაუღალავი შრომით უნდა შევქმნათ ხვალინდელი დღე. მჯერა, ერთად უდიდეს წარმატებას მივაღწევთ.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უკვე მესამედ დაჯილდოვდა IDFI-ის სიგელით – **2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის**.

„თბილისი-მერიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა და ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“ ჩაატარა, თსსუ-ის ვიცე-რექტორს, პროფესორ **ხათუნა თოდაძეს**, გადაეცა შესაბამისი სიგელი.

ფილიპინებზე, ქალაქ მანილაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას მედიცინის დარგში, კერძოდ, ყბა-სახის ქირურგიაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისა და სამედიცინო განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის, გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრემია გადაეცა.

გვ. 3

მსოფლიოში ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი და ექიმი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის ყოფილი სახელმწიფო მინისტრი სოციალური დაცვისა და დასაქმების დარგში, ევროპარლამენტის აქტიური წევრი, „გლობალური ალიანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნარ კუშნერი** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია. მას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

გვ. 3

სტუდენტური გვერდი

- *ერთობლივი ძალისხმევით*
- *უცხოელი სტუდენტის თვალით*
- *მეჯლისი 2015*

გვ. 6

ხარისხის ოქროს ჯრიზი – ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს

2015 წლის 21-23 ნოემბერს ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) ორგანიზაციამ – „Business Initiative Directions“ – ჩაატარა ხარისხის საერთაშორისო კონვენცია და გაიმართა იმ ორგანიზაციების დაჯილდოების ცერემონიალი, რომლებიც ხარისხის მართვის (QC 100 TQM-Total Quality Management) კრიტერიუმებით შეფასდნენ, როგორც განსაკუთრებით წარმატებულები. დაჯილდოების ცერემონიალს და სემინარებს ესწრებოდა 49 ქვეყნის ორასზე მეტი წარმომადგენელი.

კრიტერიუმებით, რომელიც მართვისა და ხელმძღვანელობის ხარისხთან ერთად, ითვალისწინებდა ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და პროექტების შეფასებას, **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ხარისხის ოქროს გვირგვინით დაჯილდოვდა** და ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ **ნანა გორგასლიძეს** სერტიფიკატი გადაეცა.

პროფესორი ნანა გორგასლიძე სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის საქმიანობის, მართვისა და მიღწევების შესახებ დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარსდგა. ღონისძიებაში ასევე, მონაწილეობდა ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, **მალხაზ გეთია**.

მიღებული ჯილდო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სერიოზული საერთაშორისო აღიარებაა, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიოს წამყვან კვლევით ორგანიზაციებთან სამეცნიერო კოლაბორაციას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „Business Initiative Directions“-ის პრეზიდენტის, ხოსე ე. პრიეტოს წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვა მონაწილეების ფონზე და ინსტიტუტს მუდმივ მხარდაჭერასა და თანამშრომლობას სთავაზობს.

გერმანელი პროფესორ-მასწავლებლები თსსუ-ის კლინიკაში

2015 წლის 11-13 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ **მიუნხენის (გერმანია) ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორები: რაინოლდ ლანგი, ფრიც შპელსბერგი, გეორგიუს მაიამარაკისი, ფლორიან ვაისი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ზოგადი ქირურგიის უმაღლესი კატეგორიის ქირურგი, ზოგადი და ვისცერული ქირურგიის განყოფილების უფროსი ექიმი გიორგი გრიგოლია.**

გერმანელ კოლეგებს შეხვდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, აკადემიური დოქტორი **ირაკლი კოხრეიძე** და პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკური დირექტორი, პროფესორი **ნოდარ ლომიძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი** და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით დელიბაშვილი**.

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის საკონფერენციო დარბაზში გერმანელმა პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის.

უნიკალური ოპერაცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში ისრაელიდან მოწვეულმა პროფესორებმა, ქართველ კოლეგებთან ერთად, თორმეტგოჯა ნაწლავზე უნიკალური ოპერაცია გააკეთეს.

ოპერაცია შვიდი წლის ბავშვს ჩაუტარდა. მოზარდს თორმეტგოჯა ნაწლავის თანდაყოლილი გაორება ჰქონდა.. ოპერაცია ისრაელიდან მოწვეულმა პროფესორმა, **ისრაელში ბავშვთა ქირურგიული სამსახურის ხელმძღვანელმა, იცხაკ ვინოგრადმა, თელ-ავივის შებას აკადემიური კლინიკის პროფესორმა, ოსნატ ზმურამ და თელ-ავივის იხილოვის სახელობის კლინიკის პროფესორმა, მიხეილ რაბაუმ**, ქართველ ექიმებთან ერთად ჩაატარეს. აღნიშნული სახის ოპერაცია პირველად განხორციელდა საქართველოში. ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და მოზარდი თავს ჯანმრთელად გრძნობს.

ისრაელის კლინიკებიდან ცნობილი პროფესორები ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში 2011 წლიდან ჩამოდიან და ატარებენ ოპერაციებს. მათ სულ 10 ვიზიტი განახორციელეს, რომლის ფარგლებში ნორჩ პაციენტებს 50-ზე მეტი ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს.

საერთაშორისო ოფთალმოლოგიური კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველმა საუნივერსიტეტო კლინიკამ **საერთაშორისო ოფთალმოლოგიურ კონფერენციას** უმასპინძლა.

თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ეწვივნენ: თურქეთის ოფთალმოლოგთა ასოციაციის/გამგეობის წევრი, თურქეთის დოკუზ ეილულის უნივერსიტეტის პროფესორი **სულეიმან კაინაკი** და ეგვიპტის ოფთალმოლოგთა ასოციაციის/გამგეობის წევრი, ეგვიპტის ალ-აზჰარის უნივერსიტეტის პროფესორი **მაჰმუდ ისმაილი**.

4 დეკემბერს პროფესორებმა: **სულეიმან კაინაკიმ, მაჰმუდ ისმაილმა** და თსსუ-ის ოფთალმოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ დვალმა** ჩაატარეს სამი, აქედან ერთი უპრეცედენტო ოპერაცია საქართველოში – რქოვანას ღრმა არაგამჭოლი შრეობრივი გადანერგვა, რაც პროგრესულ მეთოდად ითვლება ამ მიმართულებით.

5 დეკემბერს კი საერთაშორისო ოფთალმოლოგიური კონფერენციის მონაწილე (TIO 2015), უცხოელმა პროფესორებმა ქართველი ოფთალმოლოგებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები მსოფლიო ოფთალმოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

კიბოს კონტროლისა და სკრინინგის IV საერთაშორისო კონფერენცია

2015 წლის 5 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით და კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების ორგანიზებით, კიბოს კონტროლისა და სკრინინგის IV საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა.

კიბოს კონტროლისა და სკრინინგის IV საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში ქართველ ონკოლოგებთან ერთად, მონაწილეობდნენ ცნობილი ონკოლოგები ირლანდიიდან, შვედეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და ირანიდან. კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ტრენინგი სკოლის მოსწავლეებისთვის

„მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჩვენებელი ტრენინგი საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის. ტრენინგის მონაწილენი – დედაქალაქისა და რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეები – გაეცნენ პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხებს: ინექციების სახეები და მათი შესრულების ტექნიკა; დაზარალებულთან ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია; კისრის ფიქსაცია ავტოსატრანსპორტო შემთხვევების დროს; სიცოცხლის ძირითადი მაჩვენებლების – წნევის, ტემპერატურის, პულსის, სუნთქვის გაზომვა, გულ-ფილტვის რეანიმაცია, ხელოვნური სუნთქვა და ა. შ.

ჰილდენსტაიმის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორების – აქსელ რიხტერისა და იურგენ ტებელჯონასის ლექციები

18-20 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ეწვივნენ **ჰილდენსტაიმის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი აქსელ რიხტერი** და **ინვაზიური კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი იურგენ ტებელჯონასი.**

კლინიკის დათვალიერების შემდეგ, საკონფერენციო დარბაზში გერმანელმა პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის.

მიეძღვნა თბილისის „დინამოს“ სახელოვან ფეხბურთელებს და მწვრთნელებს

უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**) და ამავე ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის** ორგანიზებით, ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით, არაერთი ტურნირი იმართება, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად უცხოელებიც მონაწილეობენ.

დიდი იყო მათი ინტერესი საფეხბურთო ტურნირისადმი, რომელიც დიდი ქართველი ფეხბურთელების და მწვრთნელების, ბატონების: **ვლადიმერ ელოშვილის** და **გრიგოლ გაგუას** ხსოვნას მიეძღვნა..

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ **„ნიგერიის“** და **„პირველკურსელთა“** ნაკრები გუნდები, სადაც ანგარიშით 4:2 ნიგერიის გუნდმა მოიგო. მეორე ნახევარფინალში გამარჯვება წილად ხვდა **„მომავალ მედიკოსებს“** (4:1); მესამე ადგილი **„პირველკურსელთა“** ნაკრებმა გუნდმა დაიკავა.

საფინალო შეხვედრა (**„ნიგერია“** და **„მომავალი მედიკოსები“**) ულამაზესი საფეხბურთო კომბინაციებით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა სტუდენტებმა ხარისხიანი, საინტერესო და დასამახსოვრებელი თამაში აჩვენეს, საბოლოო გამარჯვება, ანგარიშით – 6:4, ნიგერიელებს ხვდათ წილად.

დასახელდნენ ტურნირის გამორჩეული მონაწილენი: საუკეთესო მეკარე – **გიორგი ნოზაძე**, ტექნიკური ფეხბურთელი – **შოთა ჩხეიძე**, საუკეთესო თავდამსხმელი და გუნდის კაპიტანი – **ალეკო ბერიძე**, საუკეთესო ბომბარდირი (14 გატანილი გოლი) – **ერხან ჩეთინი**. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **კლიფ-ნჯაჰ ვერეოვაჯი**.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა **გიორგი საღინაძემ** და ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ვახტანგ ბაქანიძემ** საპრიზო ადგილზე გასული გუნდები თასებით და მედლებით დაჯილდოვეს.

რექტორმა აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტები დაჯილდოვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „მაგთის“ ჯაზკლუბში ჩატარდა ტრადიციული შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ წარჩინებულ სტუდენტებთან. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, საზეიმოდ დაჯილდოვა აფხაზეთიდან დევნილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 7 წარჩინებული სტუდენტი: **ნინო კვირტია** (მედიცინის ფაკულტეტი IX-X სემესტრი), **დიანა ჯალაღონია** (მედიცინის ფაკულტეტი IX-X სემესტრი), **ნათია უზარაშვილი** (მედიცინის ფაკულტეტი IX-X სემესტრი), **თამარ გახოკიძე** (სტომატოლოგიის ფაკულტეტი IX-X სემესტრი), **თამთა ქარჩავა** (ფარმაციის ფაკულტეტი VII-VIII სემესტრი), **ელენე ჯოლოხავა** (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი VII-VIII სემესტრი) და **მარიკა ხაზალია** (ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი VII-VIII სემესტრი).

თითოეულ სტუდენტს საჩუქრად გადაეცა უნივერსიტეტის სიმბოლიკით გაფორმებული სამახსოვრო სუვენირები და მერკის ცნობარი – „Home Health HandBook“.

ფილმი ეროვნულ გმირზე

დეკემბრის თვეში თსსუ-ის **პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტში, სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით**, შედგა რეჟისორ **გივი ნახუცრიშვილის** ფილმის – **„სელიმ ხიმშიაშვილის“** – ჩვენება. ამ ეროვნულმა გმირმა უდიდესი წვლილი შეიტანა აჭარის დედასამშობლოსთვის დაბრუნების საქმეში, რისთვისაც უმოწყალოდ დაისაჯა კიდეც ქვეყნის მტრების მიერ. ეროვნულ იდეალებზე შექმნილი ეს ფილმი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთების გაღვიძების კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია.

გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის პირველი ქართველი ლაურეატი

23 ნოემბერს, ფილიპინებზე, ქალაქ მანილაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, მედიცინის დარგში, კერძოდ, ყბა-სახის ქირურგიაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისა და სამედიცინო განათლების ინტერნაციონალიზაციისათვის, **გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრემია გადაეცა**.

პრემიის გადაცემას წინ უსწრებ-

და აზია-წყნარი ოკეანის სამედიცინო ფორუმი, რომელიც ამავე დღეს მანილაში, „გუზის მშვიდობის პრიზის" ფონდისა და ფილიპინების სამედიცინო ასოციაციის ერთობლივი ორ-

GUSI PEACE PRIZE FOUNDATION
in cooperation with the
PHILIPPINE MEDICAL ASSOCIATION
presents this
Certificate of Appreciation
to
Dr. Zurab Vadachkoria
in grateful recognition for sharing his knowledge and expertise as
LECTURER
on the topic
"Study of Cleft Lip and Palate in Children: Georgia Country Profile"
"SINO-ASIA PACIFIC MEDICAL FORUM"
Theme: "Harnessing Global Synergy in Addressing Modern Day Clinical Challenges"
November 23, 2015, 8am - 5pm
Rigodon Ballroom, The Peninsula Hotel
Manila Philippines
DR. MANSON FOK
CEO, Gusi Peace Prize Foundation
Overall Chair, Sino-Asia Pacific Medical Forum
DR BILLY CHARLES CHAN
Vice President, Gusi Peace Prize Foundation
Summit Chair, Sino-Asia Pacific Medical Forum
AMB. BARRY S. GUSI
Chairman, Gusi Peace Prize Foundation
DR. MARIA MINERVA CALIMAG
President, Philippine Medical Association

განიზებით ჩატარდა. ფორუმზე პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ტუჩისა და სასის თანდაყოლილი ნაპრალის კვლევა ბავშვებში: საქართველოს მაგალითი". ის, როგორც სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკების მქონე ბავშვების მკურნალობისა და რეაბილიტაციის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, დაწვრილებით შეეხო ცენტრის საქმიანობას, ყბა-სახის ანომალიების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს, ქირურგიული ჩარევის ვადებს და მეტყველების ოპერაციისშემდგომი აღდგენის საკითხებს. ლექციამ უაღრესად დიდი დაინტერესება გამოიწვია. პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, სპეციალური **„მადლობის სერტიფიკატი"** გადაეცა.

გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრემია ჯილდოა, რომელიც ყოველწლიურად ენიჭება ცალკეულ პირებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ სფეროში წარმატებული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა შორის თანამშრომლობის გაღრმავების, პროგრესისა და კეთილდღეობისათვის.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია მშვიდობის პრიზის პირველი ქართველი მფლობელია.

გუზის მშვიდობის პრემიას აწესებს და ლაურეატების შერჩევას ახდენს გუზის მშვიდობის ფონდი, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს კაცობრიობის უმშვენიერესი მისწრაფებების და უმაღლესი იდეალების წარმოჩენას. ფონდი ჩამოყალიბდა აზიის კეთილნების ელჩის, ბარი გუზის ინიციატივით – მამის, მეორე მსოფლიო ომის დროს თავისუფლებისთვის მებრძოლი ჯარისკაცის, შემდგომში პოლიტიკური მოღვაწისა და ადამიანის უფლებების დამცველის – ჯემენიანო ჯავიერ გუზის საპატივსაცემოდ.

ფილიპინელები ამბობენ, რომ სიტყვა „Gusi" ოდითგანვე იხმარება მათ სამშობლოში და „განძით სავსე უძველეს ქოთანს" ნიშნავს. როგორც გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, „Gusi" თავის თავში ოთხ იდეალს აერთიაებს: კეთილშობილებას (ღვთისმოსაობას), ხალხთა ერთობას, მსახურების და ინტერნაციონალიზმს. ოთხივე იდეალი მიმართულია კაცობრიობის მომავალი სრულყოფისკენ და, შესაბამისად, მსოფლიო ჰარმონიის მიღწევისაკენ.

თსსუ-ის რექტორის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

თსსუ-ის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, კოალიცია „ქართული ოცნების" დელეგაციასთან ერთად, საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. საქართველოს დელეგაციის წევრებმა „საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელი დირექტორის, დავით საგანელიძის, ხელმძღვანელობით საქმიანი შეხვედრები გამართეს სხვადასხვა ორგანიზაციაში. განიხილეს პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩინეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმბოლიკიანი თეთრი ხალათი მსოფლიო პოლიტიკოსისთვის

თეთრი ხალათი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მქონე ატრიბუტია. თეთრი ხალათით იწყება პირველი ნაბიჯების გადადგმა მედიცინაში და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ თეთრი ხალათის ღირსეული ტარება ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა.

განსაკუთრებულია თეთრი ხალათი, რომელსაც შენი ალმა-მატერის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – სიმბოლიკა ამშვენებს... და წარმოსადგენია, რა დიდ ემოციასთან არის დაკავშირებული, როცა ასეთ ხალათს დიდი პატივით იცვამს მსოფლიოში ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი და ექიმი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის ყოფილი სახელმწიფო მინისტრი სოციალური დაცვისა და დასაქმების დარგში, ჯანმრთელობისა და ჰუმანიტარული დახმარების მინისტრი სამი სხვადასხვა სამთავრობო კაბინეტის პერიოდში, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ევროპარლამენტის აქტიური წევრი, „გლობალური ალიანსის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნარ კუშნერი**. იგი არტისტული ჟესტიკულაციით გამოხატავს, რომ ეს ხალათი, ისე როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მის პატივისცემას იმსახურებს და ეს არ არის ლიტონი სიტყვები!

ბატონმა ბერნარ კუშნერმა კარგად იცის საქართველოს როგორც პოლიტიკური და სოციალური, ისე სამედიცინო სფეროში არსებული მდგომარეობა და სამედიცინო განათლების ყველაზე ავტორიტეტული, ხანგრძლივი ისტორიის მქონე და პერსპექტიული უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – წვლილის შესახებ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში. ამიტომაც მიიღო დიდი მადლიერებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომ მას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

ბერნარ კუშნერმა შთაბეჭდილებების წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა:

„ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა, თქვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მიღება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის სამედიცინო განათლების სამაგალითო კერა, რომლის გამოცდილებაც სამომავლოდ პაციენტებს მოხმარდება. დიდი მადლობა თქვენ ყველას და მადლობა რექტორს".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს არაერთი საპატიო სტუმარი ჰყოლია, მაგრამ ბატონი ბერნარ კუშნერის ვიზიტი განსაკუთრებით ამაღელვებელია, რადგან ჩვენ კარგად გვახსოვს მისი ღვაწლი საქართველოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს 2008 წელს. თავისუფლების იდეას თაობები შეეწირნენ და საამაყოა, რომ ამ იდეას ემსახურება ბატონი ბერნარ კუშნერი მთელი თავისი მოღვაწეობით.

თავისუფლების იდეისა და საფრანგეთს მხარდაჭერა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა რამდენიმე სხვადასხვა ღონისძიებით გამოხატა 13 ნოემბრის ტერაქტების შემდეგ. ბერნარ კუშნერთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ გაიხსენეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ტერაქტების მსხვერპლთა ხსოვნას.

„ბერნარ კუშნერის გზა საექიმო მოღვაწეობით, კერძოდ, გასტროენტეროლოგიით დაიწყო და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვიდან გლობალურ, რევოლუციურ ჰუმანიზმამდე ამაღლდა. მის მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები „ექიმები საზღვრებს გარეშე" და „მსოფლიოს ექიმები" მებრძოლი ჰუმანიტარიზმის სიმბოლოდ იქცა, რაც კრიზისის პერიოდში მყოფი მოსახლეობის მხოლოდ ჯანმრთელობისთვის ზრუნვით არ შემოიფარგლება, არამედ მისი უფლებების დაცვისათვის იბრძვის, ყოველგვარი გეოგრაფიული საზღვრებისა და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად", – მიმართა სტუმრების დასახვედრად შეკრებილ აუდიტორიას ბატონმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

2015 წლის 20 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ბერნარ კუშნერთან ერთად, ეწვივნენ „გლობალური ალიანსის" პრეზიდენტი **ჟან-ელი მალკინი** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**.

ჟან-ელი მალკინმა მადლიერება გამოხატა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გულთბილი დახვედრისთვის, იმ საქმიანობისთვის, რასაც უნივერსიტეტი ერთგულად ემსახურება წლების მანძილზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ ხაზგასმით აღნიშნა ბატონი ბერნარ კუშნერის დამსახურება საქართველოს წინაშე და მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მასპინძლობისთვის.

ბატონი ბერნარ კუშნერის სიტყვა ემოციური და საინტერესო იყო. მან აღწერა, როგორ დააარსა „ექიმები საზღვრებს გარეშე", რა დიდი გამოწვევების წინაშე იდგა მაშინ და აღნიშნა, რომ როგორც ადრე, ახლაც მთავარ პრობლემად მსოფლიოში ჯანდაცვის მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა რჩება. ეს ეხება საქართველოსაც; ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს სამართლიანი და მაღალი სტანდარტის ჯანდაცვის სისტემა.

წინ დიდი გზაა. ბატონმა ბერნარ კუშნერმა წარმატება უსურვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და მის ყველა კურსდამთავრებულს ამ დიდ გზაზე ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

ხოხლოვ ჯინიკოლოგში

XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მკვლელის – ძუძუს კიბოს დასამარცხებლად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა გახსნიდან მოკლე დროის მანძილზე არაერთი საინტერესო ღონისძიების მასპინძელი და ორგანიზატორი გახლდათ, თუმცა კონფერენცია, რომელიც ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის და მასტოლოგიის ევრო-აზიური საზოგადოების – EURAMA (the Euro-Asian Mastologi Associacion) – ორგანიზებით გაიმართა, გამორჩეული იყო თავისი მნიშვნელობით და აქტუალობით. კონფერენცია მიეძღვნა ძუძუს კიბოს სკრინინგის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მიღწევებს.

საერთაშორისო კონფერენციაზე საინტერესო ლექცია-სემინარები წარმოადგინეს დარგის აღიარებულმა სპეციალისტებმა იტალიიდან და ყაზახეთიდან, ასევე – ქართველმა მამოლოგებმა, ონკოლოგებმა და რადიოლოგებმა.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**. მან ყურადღება გაამახვილა კონფერენციის მნიშვნელობასა და საკითხის აქტუალობაზე, რადგან ძუძუს კიბოს გავრცელების თვალსაზრისით, არასახარბიელო ვითარებაა, ზოგადად, მსოფლიოში. მკურნალობის ევროპული გამოცდილების გაზიარება და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება კი დაავადების დამარცხებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას და წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა კონფერენციის მონაწილეებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა **ირაკლი კოხრეიძემ** აღნიშნა, რომ ძუძუს კიბოს სკრინინგის და მკურნალობის თვალსაზრისით მიღწეული წარმატებები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რაც დაავადებით გამოწვეული ლეტალობის მაჩვენებლის შემცირებით გამოიხატება, მედიცინის ერთიან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. საქართველოსა და განვითარებად ქვეყნებში, ამ თვალსაზრისით, არცთუ სახარბიელო ვითარებაა. აღინიშნა, რომ სკრინინგული პროგრამების რეალიზების, საკითხის პოპულარიზაციის და მასმედიის საშუალებებით პრობლემის ფართო გაშუქების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში კვლავ მაღალია დაავადების შორსწასულ შემთხვევათა პირველადი გამოვლენის და ლეტალობის მაჩვენებელი. აუცილებელია სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ექსპერტთა ურთიერთთანამშრომლობა და კლინიკურ პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ერთიანი მაღალი სტანდარტის დამკვიდრება. სწორედ ეს დაედო საფუძვლად პროფესორ უმბერტო ვერონეზის და მისი კოლეგების იდეას, შექმნილიყო მასტოლოგიის ევროპისა და აზიის საერთაშორისო ასოციაცია – EURAMA, რომლის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი სტეფანო ზურრიდა EURAMA TBILISI 2015-ის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილეა. ბ-ნმა ირაკლი კოხრეიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურ ფონდს, რომლის დახმარებით შედგა ევროპელი კოლეგების ვიზიტი საქართველოში.

პროფესორმა **ნოდარ ლომიძემ**, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის კლინიკურმა დირექტორმა, აღნიშნა, რომ მრავალპროფილიანი სტაციონარის სრული დატვირთვით მოქმედ დეპარტამენტებს დაემატა მამოლოგიის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელის, კლინიკის გენერალური დირექტორის, ბ-ნი ირაკლი კოხრეიძის და უცხოელი კოლეგების ინიციატივით და ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ესოდენ მნიშვნელოვანი კონფერენციის ჩატარება.

აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ**, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა, კმაყოფილება გამოხატა ესოდენ წარმომადგენლობითი ღონისძიების საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარების გამო, რადგან სამედიცინო სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები სწორედ ჩვენს ალმა-მატერს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს უნდა უკავშირდებოდეს.

საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა **რევაზ გაგუამ** აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი ონკოლოგიაში სწორედ ძუძუს კიბოს პრობლემის გადაწყვეტაა, რომელსაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში პირველი ადგილი უჭირავს – ყოველ წელს ძუძუს კიბოს ახალი – 1300 შემთხვევა ფიქსირდება, რაც ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მაღალი მაჩვენებელია.

აღინიშნა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **ირაკლი ფავლენიშვილმა** აუდიტორიას აცნობა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების შესახებ, რაც ძუძუს კიბოთი დაავადებული გარკვეული სიმძიმის მქონე პაციენტების ძვირადღირებული, ე.წ თარგეტული, მკურნალობის თანადაფინანსებას (70%-ით) გულისხმობს.

ქართველ პროფესიონალებთან ერთად, საინტერესო ლექციები წარმოადგინეს სტუმრებმა: EURAMA-ს ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა **სტეფანო ზურრიდამ**; ალმათის ონკოლოგიის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, აკადემიკოსმა **დილარა კაიდაროვამ**; ევროპის ონკოლოგიის ინსტიტუტიდან – დოქტორებმა: **ანტონიო ტოესკამ** და **ვერონიკა დელაქვამ**, მილანის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტიდან – დოქტორმა **ანდრეა სპანომ**, საპრეზიდენტო „ფონდი კიბოს წინააღმდეგ“ პრეზიდენტმა ყაზახეთში – **გულნარა კუნიროვამ**.

ბატონმა **ირაკლი კოხრეიძემ** აღნიშნა, რომ ეპიდემიოლოგიური კვლევების შემაშფოთებელი სტატისტიკა მთელ მსოფლიოში, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ძუძუს კიბოთი ავადობის სიხშირის დინამიკურ ზრდას ადასტურებს, რაც ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას მოითხოვს. EURAMA-ს მიზანი კი სწორედ ევროპის და აზიის სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების, ქირურგების, სამედიცინო და სხივური ონკოლოგების, ექიმების, ექთნების და ამ სენით დაავადებული ადამიანების გაერთიანებაა ჰუმანური იდეის გარშემო – დავამარცხოთ XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მკვლელი, ძუძუს კიბო. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში დაავადების მაჩვენებელი მატულობს, ლეტალობის მაჩვენებელი დინამიკურად მცირდება. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ჯერ კონკრეტულ ნიშნულზეა, თუმცაღა საბოლოო ანალიზი ცალსახად დაგვიდასტურებს, რომ კლების ტენდენცია გამოიკვეთება. მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე მეთოდები თუ მიდგომები ამ ვერაგი დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად უნიფიცირებულია, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოსთვის.

გავესაუბრეთ მასტოლოგიის ევროპისა და აზიის ასოციაციის (EURAMA) ვიცე-პრეზიდენტს **სტეფანო ზურრიდას**:

– ძუძუს კიბოს მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ დიაგნოსტიკას. ლეტალობის შემთხვევათა 90% დაგვიანებული მკურნალობის შედეგია, – აღნიშნა მან, – მნიშვნელოვანია პრევენცია, რაც გულისხმობს გარკვეული ასაკიდან (30-33 წელი) ქალის ყოველწლიურ ვიზიტს მამოლოგთან. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც ძუძუთი კვება ნაკლებ აქტუალურია, დაავადების გავრცელების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია.

პროფესორი სტეფანო ზურრიდა ონკოდაავადებების მკურნალობის დაფინანსების საკითხსაც შეეხო:

– სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ იტალიაში ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა სრულად ფინანსდება სახელმწიფოსგან. ეს სერიოზული პრობლემაა.

აქვე ვიტყვი, რომ მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტის გამო. მომწონს თქვენი ქვეყანა, ხალხი, კლინიკა, სადაც ვიმყოფებით. იგი სათანადოდ აღჭურვილია და სრულად პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს. კლინიკის დირექტორს, ბატონ ირაკლი კოხრეიძეს პირველად ყაზახეთში შევხვდი. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მომავალ ურთიერთთანამშრომლობას. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ეს არის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინონ და პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. წარმატებები მინდა ვუსურვო თქვენს ლამაზ ქვეყანას, უნივერსიტეტს და კლინიკას.

ნატო გოლქვაძე

პატარა პაციენტებისთვის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, დღეისთვის მსოფლიოში 400 მილიონზე მეტი ადამიანია ავად შაქრიანი დიაბეტით, მათ შორის, 440 000 ბავშვია. ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს ეს დაავადება სოციუმზე. ეს ნოზოლოგია ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთათვისაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, სადაც მისი გავრცელების მაჩვენებელი მოზრდილებში საკმაოდ მაღალია და წლიდან წლამდე მატულობს.

ამჟამად საქართველოში 0-დან 16 წლამდე 758 ბავშვს აქვს ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, რომელსაც ტიპი 1-ს უწოდებენ. ყოველწლიურად დაავადების, დაახლოებით, 90-95 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. განსაკუთრებით მოიმატა ავადობამ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. როგორც ცნობილია, ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა და მისი მართვა ბავშვებში ერთ-ერთი ურთულესი სამედიცინო პრობლემაა. მკურნალობის ერთადერთი გზა ინსულინთერაპიაა, თუმცა, მკურნალობის წარმატება, დავადების კარგი კომპენსაციის მიღწევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და, ინსულინთერაპიასთან ერთად, სწორ კვებას, ფიზიკურ აქტივობას და პაციენტის მიერ თვითკონტროლს გულისხმობს.

სწორედ ამ გამოწვევათა საპასუხოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, კლინიკაში გაიხსნა **ბავშვთა ენდოკრინოლოგიური ცენტრი**, რომლის ხელმძღვანელია თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი **მარინა გორდელაძე**.

ბავშვთა ენდოკრინოლოგიური ცენტრი აერთიანებს პაციენტთა სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებას, აგრეთვე, სასწავლო მიმართულებას თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის ბავშვთა ენდოკრინოლოგიასა და პედიატრიაში და, ასევე, ექიმებისთვის გადამზადების პროგრამას ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში. ცენტრის ეგიდით მიმდინარეობს პაციენტთა ამბულატორიული მომსახურება ქალაქ ქუთაისის მრავალპროფილურ ჰოსპიტალში – „მედიქალ სიტი“.

ცენტრი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. კლინიკის ენდოკრინოლოგიური განყოფილების ექიმები არიან ევროპის პედიატრ ენდოკრინოლოგთა საზოგადოებისა და ევროპის დიაბეტის შემსწავლელი ასოციაციის წევრები. ისინი ყოველწლიურად მონაწილეობენ ამ საზოგადოებათა კონგრესებში, რომელიც ტარდება უცხოეთში და სიახლეებს აქტიურად ნერგავენ სამუშაო პრაქტიკაში. ხშირად მასპინძლობენ უცხოელ კოლეგებსაც. წელსაც, სექტემბერში, სამედიცინო უნივერსიტეტის თაოსნობით, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩატარდა ცნობილი შვედი პროფესორის, **მარტინ რიტცენის**, ლექცია-სემინარები და მასტერ-კლასი ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში. იგეგმება კიდევ მრავალი ვიზიტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებისა და ქართველი ექიმებისთვის მსოფლიოში აპრობირებული მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით.

პროფესორმა **მარინა გორდელაძემ** გაგვაცნო ცენტრის პირველი პაციენტი – სამი წლის ბიჭუნა, რომელიც რამდენიმე დღის წინ კლინიკაში შემდეგი ჩივილებით შემოვიდა: გაძლიერებული წყურვილი და შარდვა, წონაში კლება, ზოგადი სისუსტე, სისხლში გლუკოზის დონე შეადგენდა 496 მგ %-ს. სულ რამდენიმე საათი და მისი მდგომარეობა ძალიან დამძიმდებოდა. ბავშვს მაშინვე დაეწყო ინსულინთერაპია, რის ფონზეც მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და როდესაც ჩვენ მოვინახულეთ, იგი უკვე მშვენიერ ხასიათზე იყო. ვნახეთ, ასევე, პაციენტები, რომლებიც განყოფილებაში იმყოფებოდნენ ინსულინთერაპიის რეჟიმისა და დოზირების კორექციისთვის.

საინტერესო აღმოჩნდა, ასევე, დასწრება დიაბეტის სკოლის გაკვეთილზე, სადაც პაციენტებს და მათ მშობლებს მარტივად და საინტერესოდ მიეწოდებოდათ ინფორმაცია საკმაოდ რთულ სამედიცინო საკითხებზე: რა არის დიაბეტი, რა ხდება ორგანიზმში ინსულინის უკმარისობის დროს, როგორ კეთდება ინსულინის ინექცია, როგორ უნდა ვცვალოთ ინსულინის დოზები დღის რეჟიმის, კვებისა და სხვადასხვა მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქვე კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლის მოწმენი გავხდით – გამოსაცემად მზადდება და ამჟამად პაციენტებთან აპრობაციას გადის წიგნი ბავშვთა დიაბეტის შესახებ – **მარინა გორდელაძის, მარიამ ფხალაძის, ეკატერინე ფაცაციას** და **ნინო ჯინიყაშვილის** – თანაავტორობით. დასაბეჭდად გამზადებული წიგნის გადათვალიერებისას თვალში მოგვხვდა შესანიშნავად ილუსტრირებული რჩევათა კრებული, რომლის მთავარი პრინციპია – **„ვიცხოვროთ დიაბეტით, ეს ნიშნავს ვისწავლოთ დიაბეტი“.** ძნელია, წიგნი ერთნაირად გასაგები იყოს ბავშვებისთვისაც და მშობლებისთვისაც, შეიცავდეს მარტივ ყოველდღიურ რჩევებსაც და სამედიცინო სამეცნიერო ინფორმაციას, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მიზანი ავტორების მიერ მიღწეულია.

შაქრიანი დიაბეტისა და სხვა ენდოკრინოლოგიური დაავადებების – მომავალი თაობის ჯანმრთელობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ხელმძღვანელობების და ბავშვთა ენდოკრინოლოგიური ცენტრის თანამშრომელთა მიერ.

გვინდა წარმატებები ვუსურვოთ მათ!

დარეჯან კომლაძე

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი

დაბადების დღე წელიწადში ერთხელ არის და ყველას აქვს უფლება, ისე გაატაროს, როგორც უნდა: სტუმრები მიიღოს, მოაწყოს პიკნიკი ბუნებაში, გაერთოს... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი **მიხაელ ლენტცე** 70 წლის გახდა. განსაკუთრებული თარიღია, მაგრამ დღე ჩვეულებრივად დაიწყო: თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, პაციენტები, კონსულტაციები...

– დღეს მაინც დაისვენეთ, პროფესორო ლენტცე! – უთხრა კოლეგამ, პროფესორმა მერაბ ბუაძემ.

– ხომ იცით, ჩვენს თავს არ ვეკუთვნით, – გაუღიმა პროფესორმა ლენტცემ, თუმცა, სახეზე სულაც არ დასტყობია უკმაყოფილება არჩევანის არქონის გამო. პირიქით, მთელი ინტერესით მიუბრუნდა საყვარელ საქმეს – პატარა პაციენტების გასინჯვას.

პირველი პაციენტი ზუსტად 44 წლის წინ მიუღია – 1971 წელს.

– ცხადია, ძალიან ვღელავდიო, – გაიხსენა პროფესორმა ლენტცემ თავის 70-ე დაბადების დღეზე, – მღელვარე დღეები მერეც არაერთი ჰქონია პროფესიის გამო... თუმცა, ცხოვრება თავიდან რომ დავიწყო, ისევ პედიატრობას ავირჩევდიო, – თქვა ალალად.

საქართველოში პირველად 10 წლის წინ ჩამოვიდა, მას მერე მუდმივად ჰქონდა კონტაქტი პროფესორ **ყარამან ფალავასთან** და ისიც იცოდა, რომ მისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი ძალიან გამოადგებოდა საქართველოს. სწორედ ამიტომ, გერმანული სამთავრობო DAAD-ის პროგრამის დაფინანსებით, ბოლო 2 წლის განმავლობაში, 6-6 თვე მუშაობდა თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. პროექტი კიდევ 2 წელს გაგრძელდება.

საქართველო ძალიან შეუყვარდა. 10 წელი შვეიცარიაში იცხოვრა, 2

წელი – ამერიკაში. ახლა საქართველოში ცხოვრობს. მოსწონს თბილი და სტუმართმოყვარე ქართველები, მოსწონს მთები – თავადაც წარმოშობით გერმანიის სამხრეთიდან – მთებიდან არის. ყაზბეგი და შატილი უკვე მოინახულა, მომავალში ალბათ სხვა მთიან რეგიონებსაც ეწვევა. ჩვენი ხალხიცა და ბუნებაც ერთმანეთს ჰგავსო, – ამბობს, – ისე, როგორც თოვლის ფანტელი ჰგავს ერთმანეთს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ნახო.

ზოგჯერ მაინც მძლავრობს ნოსტალგია და სამშობლო ენატრება... მაგრამ გერმანიაში ჩასულს აუცილებლად ახსენდება და ენატრება საქართველო. ამაოდ კი არ დაარქვეს ქართველმა კოლეგებმა **გერმანელი ქართველი**. პროფესორი ლენტცე ამას შინაგანადაც გრძნობს.

საქართველოსთვის არაერთი კეთილი საქმე გაუკეთებია; არის დიდი ქველმოქმედიც: თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას უსასყიდლოდ გადასცა ფიბრო-ენდოსკოპიური, ანესთეზიოლოგიური და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებისთვის საჭირო აპარატურა.

მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში ჩატარდა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, **გიორგი აბაშიშვილმა**, საქართველოს პრეზიდენტის სახელით, პროფესორ მიხაელ იაკობუს ლენტცეს **ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი** გადასცა.

– ეს პირველი ორდენია ჩემს ცხოვრებაში და ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, – ბრძანა პროფესორმა ლენტცემ მილოცვების მოსმენის შემდეგ. საზეიმო ტორტიც გაიჭრა და ბატონი მიხაელ ლენტცესა და მისი მეუღლის, ქალბატონი თინა ლენტცეს სადღეგრძელოც შეისვა... თუმცა კართან თეთრხალათიანი კოლეგა გამოჩნდა, რომელმაც ძალიან საქმიანად და თანაც სასწრაფოდ, ბავშვთა განყოფილებაში უხმო ამაგდარ ექიმს. პროფესორი ლენტცე გაჰყვა... პაციენტთან მიეჩქარებოდათ. სახეზე წამითაც არ გაჰკრთომია სინანული, რომ ზეიმს მოწყვიტეს. პროფესორმა ლენტცემ იცის, ნამდვილი ზეიმი სნეულებაზე გამარჯვების შემდეგ იწყება.

ბენეფიციარების საპატიო ორდენი

კლუბმა „ტრირეამ“ „რეას“ ბენეფიციარებს სიხარული მოუტანა

ერთი წელი გავიდა, მას მერე, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, შეიქმნა კლუბი **„ტრირეა“** მრავლისმთქმელი სლოგანით – რეალობა, რეაქცია, რეაბილიტაცია; რომ არაფერი ვთქვათ მათ საქმიანობაზე, სწორად შერჩეული სლოგანიც ამბობს სათქმელს.

კლუბი **„ტრირეა“** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის ცენტრ **„რეასთან“** ერთად უკვე ისეთი ტანდემი იყო, რომელიც აუცილებლად გამოიღებდა კეთილ ნაყოფს.

სტუდენტებმა თანამოაზრეც მალე იპოვეს – **„პალიტრამედია“**.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ცენტრ **„რეას“** და **„პალიტრამედიას“** შორის.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ძალიან რეიტინგული გამოდგა და უმალვე მიიქცია საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის, ქალბატონ თამარ სანიკიძისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონ **დავით სერგეენკოს** ყურადღება.

ძალიან მალე მთელმა ქალაქმა გაიგო და აიტაცა ამბავი: თბილისში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების მიზნით, არსებობს სოციალური კაფე – **„რეას ციყვები“**, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთადერთია სამხრეთ კავკასიაში, სადაც, განვითარების თავისებურებების და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები რეგულარულად არიან დასაქმებულნი და ხელფასსაც იღებენ. ოთხი გოგონა აქ მიმტანად მუშაობს. კაფეს პოპულარობა აშკარად გაიზარდა.

ქალბატონი **ელისო რეხვიაშვილი**, „რეას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია, სწორედ მას ეკუთვნის სოციალური კაფეს დაარსების იდეაც. როგორც მან აღნიშნა, მათთვის მნიშვნელოვანი, იყო რომ დაუკავშირდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, „პალიტრამედია“: „ყველაზე მთავარი ჩვენთვის მათი გულწრფელი სურვილი იყო, ვყოფილიყავით ერთად უამრავი სტიგმის წინააღმდეგ, განვითარების თავისებურებების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ასე დაიწყო გზა ნაყოფიერი და საინტერესო თანამშრომლობისა“.

ქალბატონმა ელისო რეხვიაშვილმა ისაუბრა რა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერის, გულისხმიერებისა და აქტიურობის შესახებ, აღნიშნა, უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი **ზურაბ ვადაჭკორიას** მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ გამოხატულ სითბოსა და თანადგომაზე. როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა ბენეფიციარები საზეიმო ღონისძიებაზე მიიწვიეს, რექტორმა მათ საჩუქრები გადასცა... და, როდესაც ისინი სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე თეატრალურ ფესტივალზე მაყურებლებად მოგვევლინნენ, რამდენი სიხარული ბრწყინავდა მათ თვალებში, სიხარული გულწრფელი და ხალასი... ჩვენი მიზანიც ესაა: მათ მიმართ ჩამოყალიბდეს საზოგადოების სწორი დამოკიდებულება, მეტი ყურადღებისა და თანადგომისთვის. გულწრფელი ემოციების შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მონაწილეობით, ჩატარდა სპორტულ-შემოქმედებითი ფესტივალი – **„ასპინძა-2015“**, სადაც „ტრირეას“ წევრები მეგობრების მხარდასაჭერად ჩავიდნენ. საინტერესოა, რომ ფესტივალი მალე საერთაშორისო სტატუსს დაიმკვიდრებს.

ხორციელდება ერთი წლის წინ დაგეგმილი ფოტოპროექტიც. ფოტოსესიათა ციკლში, ბენეფიციარებთან ერთად, სურათები გადაიღეს საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა.

მონდომებას ბევრი რამ შეუძლია: როდესაც მოლოდინით და იმედით აღსავსე თვალები შემოგცქერიან, მათთვის შეუძლებელსაც შეძლებ.

მანანა ფხალაძე

ბენეფიციარებს სიხარული მოუტანა

ბენეფიციარებს სიხარული მოუტანა

ბენეფიციარებს სიხარული მოუტანა

სტუდენტური გვერდი

სტუდენტური ცხოვრება – მნიშვნელოვანი მომავალი პროფესიისთვის



პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედებს – **კახა აბულაძეს** და **გიგა სორდიას**, ასევე გუნდს, რომელმაც დაასრულა მოღვაწეობა სტუდენტურ თვითმმართველობაში. თითოეულ მათგანს წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ მომავალში. რაც შეეხება ჩემს მიზნებს, ვგეგმავ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იყოს უფრო ღია, გამჭვირვალე, სტუდენტების უფლებებზე და ინტერესებზე ორიენტირებული ორგანიზაცია. ვგეგმავ მაქსიმალურად ვისარგებლოთ საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ გათვალისწინებული სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებით, მაქსიმალურად გამოვხატოთ სტუდენტების ინტერესები წარმომადგენლობით და ფაკულტეტების საბჭოებში. მოვახდინოთ სტუდენტების მოსაზრებების და ინიციატივების ლობირება, ასევე, განვახორციელოთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროექტები, სოციალური და სპორტული აქტივობები, რადგან სამედიცინო უნივერსიტეტში, საკმაოდ ხანგრძლივ სასწავლო პროცესთან ერთად, სტუდენტური ცხოვრება საინტერესო და სასიამოვნო იყოს.

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც სასწავლო პროცესის მაღალი დონით, ასევე, სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებით. ყველაფერი ცვალებადია, გარდა ცვალებადობის კანონისა და სწორედ ჩვენი ცვალებადობის კანონია ის, რომ ვიცვლებოდეთ უკეთესისკენ, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა მოწინავე იყოს ქვეყნის მასშტაბით... ამაში უდიდესი წვლილი შეაქვს თსსუ-ის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს და თვითმმართველობის გუნდს. ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ არა სამედიცინო უნივერსიტეტის არაჩვეულებრივი სტუდენტობა. ჩვენი ინტერესის სფერო, პროფესიულ განვითარებასთან ერთად, სწორედ რომ სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საპასუხისმგებლო და შრომატევადია სტუდენტურ თვითმმართველობაში საქმიანობა, ჩემი მომავალი მხოლოდ და მხოლოდ ექიმის პროფესიას უკავშირდება. მინდა, კარიერა გავაგრძელო წარმატებული ექიმის რანგში და შევუერთდე საქართველოს ექიმთა საზოგადოებას. ჩემი მაგალითი ალბათ არის არგუმენტი იმისა, რომ სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა არ არის ხელშემშლელი ფაქტორი პროფესიული განვითარების კუთხით. პირიქით, ის გვასწავლის ადამიანებთან ურთიერთობას, რომელიც ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწავლასთან ერთად, სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, ვთვლი, რომ არის ის არაჩვეულებრივი სინთეზი, რაც ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

გიორგი მიკუჩაძე,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

ერთობლივი ძალისხმევით

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას ჯერ კიდევ 69 წელს წინ ჩაეყარა საფუძველი, ჩვენ უკვე 31-ე მოწვევის წარმომადგენლები ვართ და დიდი პატივია იმ საქმის გაგრძელება, რაც ათობით წლის წინ დაიწყო. მინდა განვლილი წლის მუშაობა გარკვეულწილად შევაჯამო, ამავდროულად, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებლებს.

2015 წელს, ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით და ორგანიზებით, 23 ღონისძიება ჩატარდა, რაც სამედიცინო ცოდნის, სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებასა და პოპულარიზაციას ემსახურებოდა. სტუდენტთა მე-16 სასწავლო-სამეცნიერო და სტუდენტთა 77-ე კვლევითმა კონფერენციამ მოიცვა თითქმის ყველა სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტის სტუდენტობა. მონაწილეებისა და შემოსული თეზისების რაოდენობა რეკორდული გახლდათ. ახალი თაობის დიდი ინტერესი სამეცნიერო მიმართულებით კიდევ უფრო მეტ მოტივაციას გვიჩენს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული, რომლის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 13 ღონისძიება ჩატარდა: ტრენინგები, კონფერენციები, ვორქშოპები, საჯარო ლექციები...

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პიკზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დისტანციური სწავლების მეთოდებს (ონლაინ ლექციებს, სემინარებს; ეს მეთოდები აპრობირებულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უნივერსიტეტებში). კვირეულის ფარგლებში, პირველად სამედიცინო უნივერსიტეტში, დავნერგეთ საჯარო ლექციების ონლაინ **ტრანსლაცია**, რასაც რამდენიმე ათეული მსმენელი ადევნებდა თვალს, მათ შორის – საქართველოს საზღვრებს მიღმაც. ერთ-ერთი სიახლე ვორქშოპი – „კერვის ოსტატობა“ იყო, რაც ჩვენი ინიციატივით, ორგანიზებითა და თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მხარდაჭერით განხორციელდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ასე მასშტაბურად, მაღალ დონეზე, ჩატარდა ვორქშოპი და ის არ ჩამოუვარდებოდა ევროპული სამედიცინო სასწავლებლების მიერ ორგანიზებულ ანალოგიურ ვორქშოპებს.

ჩატარდა კონფერენცია ტრავმატოლოგია-ორთოპედიაში, სადაც წარმოდგენილი იყო მაღალი დონის ნაშრომები და მოხსენებები.

ნოემბრის თვეში ჩვენი უნივერსიტეტის უცხოურენოვანი სტუდენტებისთვის, გავმართეთ კონფერენცია და სამედიცინო დებატ-კურსი.

2015 წელი საკმაოდ დატვირთული იყო, მომავალ წელს ვგეგმავთ უფრო მეტ სიახლეს. გვაქვს ამბიცია, რომ თსსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოება ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყოს. მხარდაჭერასა და თანადგომას ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად ვგრძნობთ.

გვჯერა, 2016 წელი განსაკუთრებული განახლების წელი იქნება ჩვენთვის. ყველა სტუდენტს, სურვილის და ინტერესის გათვალისწინებით, შეუძლია გაწევრიანდეს ჩვენს საზოგადოებაში. ერთობლივი ძალისხმევით მეტს შევძლებთ.

მიხეილ ჯანჯღავა,
თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი

სტუდენტთა საერთაშორისო დღე

სტუდენტთა საერთაშორისო დღის აღნიშვნის ტრადიცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2009 წლიდან იღებს დასაბამს. ისტორია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნას, ასეთი იყო: 1939 წელს, ფაშისტების მიერ ოკუპირებულ პრაღაში, სტუდენტებმა და მათმა პედაგოგებმა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების წლისთავისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია გამართეს. შედეგად, ფაშისტებმა მშვიდობიანი მოქალაქეები დაარბიეს, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი, **იან ოპლეტი**, დახვრიტეს. მისი დაკრძალვა საპროტესტო მსვლელობაში გადაიზარდა, რასაც ათობით სტუდენტის დახვრეტა მოჰყვა. პრაღაში დაღუპულ სტუდენტთა პატივსაცემად, 17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. ამ დღის დევიზია – **„სტუდენტობა გვაერთიანებს“**. აღსანიშნავია, რომ ეს თარიღი პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აღინიშნა, რის შემდეგაც ღონისძიებამ ტრადიციული ხასიათი მიიღო.

ამ დღის აღსანიშნავად ჩატარდა საგანმანათლებლო, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებები.

ჩატარდა კონცერტი, რომელშიც, გარდა ქართველებისა, მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ღონისძიებაზე სტუდენტებს მიესალმა და ეს დღე მიულოცა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, ასევე, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **გიგა სორდიამ** და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, **კახა აბულაძემ**, რომელმაც შეაჯამა განვლილი პერიოდი, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტებს.

აქვე თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად **გიორგი მიკუჩაძე** დასახელდა.

საერთოდ კი, სტუდენტურმა დღეებმა საინტერესო და ხალისიან ვითარებაში ჩაიარა და ლამაზი დღეები აჩუქა მონაწილეებს.

მარიამ მახნიაშვილი,
თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა

ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში გავატარე – მიყვარს ეს ქვეყანა, მისი ტრადიციები და განსაკუთრებული ხალხი. თბილისი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მშობლიური ქალაქია. უკვე ექვსი წელია აქ ვცხოვრობ, დავდივარ მის ქუჩებში და ვგრძნობ, ქართული ცხოვრების ნაწილი ვარ. ეს არის ქალაქი, რომელმაც უამრავი რამ მასწავლა და პიროვნებად მაქცია.

წარმოშობით შრი-ლანკიდან ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ, ინგლისში ვცხოვრობდი და გრინვიჩის უნივერსიტეტში, საინჟინრო ფაკულტეტზე ვსწავლობდი. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე საქართველოში წამოსვლა და სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.

ნინათ რომ გეკითხათ, ვისწავლიდი თუ არა სამედიცინო უნივერსიტეტში, აუცილებლად გიპასუხებდით, რომ არა, მაგრამ ყველაფერი ხდება და მეც გადავწყვიტე, წამოვსულიყავი საქართველოში, სადაც ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დღემდე აქ ვარ და ვამაყობ, რომ მქვია თსსუ-ის სტუდენტი, ეს ალბათ, ჩემს ცხოვრებაში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო და მადლობა უფალს, რომ ასე მოხდა.

რთულია ვისაუბრო იმ ემოციაზე, რომელიც აქ ჩამოსვლისას დამეუფლა, ეს იყო სიახლეების, ცვლილებების, გარდატეხის მოლოდინი ჩემს ცხოვრებაში, მე ხომ იმ პროფესიის დაუფლებას ვაპირებდი, რომელზეც არასოდეს მიფიქრია. უცხო ქვეყანაში ცხოვრებას მიჩვეული ვიყავი და ეს პრობლემა არ ყოფილა, თუმცა, მათ, ვინც აქ დამხვდა, დამიმეგობრდა და ოჯახის წევრად მიმიღო, ყველაფერი ბევრად უკეთესი, მარტივი და დაუვიწყარი გახადეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უზარმაზარი სამეგობრო წრე მაჩუქა, მასწავლა, რას ნიშნავს გყავდეს ნამდვილი მეგობრები უცხო ქვეყანაში. მიყვარს ქართველი სტუდენტები, ისინი ძალიან მეგობრულები და უშუალონი არიან. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სტუდენტური თვითმმართველობა, სადაც ყველაზე ახლო მეგობრები შევიძინე. ვთვლი, რომ ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან და მადლობა მათ, რომ ახლობლად მიმიღეს. ჩემს მეგობრებს შორის უამრავი ლექტორია. ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი მათი სტუდენტი. არასოდეს დამავიწყდება მათთან გატარებული წუთები, ვაფასებ თითოეულ მათგანს, პიროვნების, კვალიფიკაციის, განათლების ხარისხის, სტუდენტებთან დამოკიდებულების და სხვა ბევრი დადებითი თვისების გამო. ბევრი რამ ვისწავლე მათგან...

საქართველოში დარჩენისთვის უამრავი მიზეზი მაქვს: მიყვარს ეს ქვეყანა, ჩემი უნივერსიტეტი, მიყვარს ქართველი ხალხი და ქართული ცხოვრების სტილი. ამიტომაც ვფიქრობ კიდეც ამაზე... ახლა მეექვსე კურსზე ვარ და სწავლას მალე დავამთავრებ, მწყინს, ყველაფერი სრულდება, თუმცა, ბედნიერი ვარ, რომ ახლა ჩამოყალიბებული პიროვნება ვარ, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა ცხოვრებაში და როგორ აპირებს მიზნის მიღწევას, ამისთვის კი, უბრალოდ, დიდი მადლობა მშობლიურ უნივერსიტეტს.

თარაქა დუნუვილა,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

მეჯლისი – 2015

ყველას სურს, ერთხელ მაინც მოსწყდეს რეალობას და გადაინაცვლოს ზღაპრულ სამყაროში. სწორედ ამგვარი შესაძლებლობა მისცა სტუდენტურმა თვითმმართველობამ თსსუ-ის სტუდენტებს: 22 ნოემბერს სასტუმრო „ძველ თბილისში“ გაიმართა **„სამეფო მეჯლისი“**. სტუმრები წარმოდგენილნი იყვნენ შუა საუკუნეებისდროინდელი სამოსით – სამეჯლისო კაბების და კოსტიუმების მთავარი ატრიბუტი იყო საკარნავალო ნიღაბი.

„სამეფო მეჯლისს“ უძღვებოდნენ მხიარული წამყვანები; ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საინტერესო მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ილუზიონისტური ნომრები. ღონისძიებაზე დასახელდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები: **„მისტერ მეჯლისი“** და **„მისის მეჯლისი“**, **„ყველაზე აქტიური სტუმარი“**, **„საუკეთესო წყვილი“**. ყველაზე გამორჩეული და ლამაზი კოსტიუმის მქონე სტუდენტი კომპეტენტურმა ჟიურიმ ბაკურიანის საგზურით დააჯილდოვა.

მეჯლისის მონაწილეებმა ოცნება აიხდინეს და, მართალაც, ზღაპრულ სამყაროში იმოგზაურეს.

ანანო სალუქვაძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

საახალწლო წვეულება

18 დეკემბერს, თსსუ-ის სტუდენტებისთვის, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, კლუბ **„Night Office“**-ში ჩატარდა გრანდიოზული და დაუვიწყარი საახალწლო წვეულება. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა DJ-ები **რეზი ბაზიერი** და **გიგა პაპასკირი**. ვიხილეთ, ასევე, ჯგუფ **Lost in Music**-ის ენერგიული ცოცხალი შესრულება. საღამო მიჰყავდათ ცნობილ მსახიობებს, **სანდრო მიკუჩაძეს** და ტელე-რადიო წამყვანს **თამუნა მუსერიძეს**. გათამაშდა რამდენიმე საინტერესო და ძალზე სასურველი პრიზი: სტუდენტები დასაჩუქრდნენ 50 ლარიანი ყავის ვაუჩერითა და ბაკურიანის საგზურებით. კლუბში შექმნილმა ენერგიულმა, წინასაახალწლო განწყობამ არცერთი სტუმარი დატოვა გულგრილი.

გვერდი მოამზადა თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მარიამ ქეშიკაშვილმა.

იუბილე

პროფესორი ალექსანდრე ბაკურაძე

დაბადების 110 წლისთავთან დაკავშირებით

2015 წლის 11 დეკემბერს 110 წელი სრულდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიოლოგის, ამაგდარი, მართლაც რომ ეპოქალური მნიშვნელობის მეცნიერის, თვალსაჩინო მკვლევრის და ღვაწლმოსილი პედაგოგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორი **ალექსანდრე ბაკურაძის** დაბადებიდან.

ალექსანდრე ბაკურაძე დაიბადა 1905 წლის 11 დეკემბერს საქართველოში, წალკის რაიონის სოფელ რეხაში. 1924 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა თბილისში და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს, ასისტენტად მიიწვიეს ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრაზე. 1938 წელს იგი კათედრის დოცენტად აირჩიეს, ხოლო 1945 წლიდან 1985 წლამდე, ოთხი ათეული წლის განმავლობაში, იგი ფიზიოლოგიის კათედრის გამგე ბრძანდებოდა და სამედიცინო ინსტიტუტში (დღეს – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში) ხელმძღვანელობდა მედიკოსთა მომზადების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრელი დისციპლინის სწავლებას და კვლევას. დღეს მოღვაწე ბევრი სახელოვანი მედიკოსი თუ მეცნიერი-ბუნებისმეტყველი თავს ალექსანდრე ბაკურაძის მოწაფედ თვლის და ამაყობს ამით.

1933 წელს ალექსანდრე ბაკურაძემ, ივანე ბერიტაშვილის მიწვევით, შეთავსებით დაიწყო მუშაობა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების ბიოლოგიის სექტორში. ამ უკანასკნელის ბაზაზე, 1935 წელს, ჩამოყალიბდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი – საბუნებისმეტყველო მეცნიერების უდავო ფლაგმანი საქართველოში. 1934-35 წლებში ა. ბაკურაძე ლენინგრადსა და მოსკოვში ეცნობოდა ახალ მეთოდებს და თავადაც აწარმოებდა კვლევას ი. პავლოვის, ე. ლონდონის და ი. რაზენკოვის ლაბორატორიებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი, 1951 წლამდე, განაგრძობდა კვლევით მუშაობას ფიზიოლოგიის ინსტიტუტში.

1951 წელს ალექსანდრე ბაკურაძე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგედ დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ 1966 წელს იგი კვლავ მიიწვიეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მან პრომატების ქცევის შემსწავლელი ლაბორატორია ჩამოაყალიბა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მრავალ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს კურორტოლოგიაში როგორც კურორტოლოგიის ინსტიტუტში, ისე -ბორჯომის საბაზო სანატორიუმში – ,,ლიკანი".

1968-1975 წლებში ა. ბაკურაძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ალექსანდრე ბაკურაძის სამეცნიერო კვლევის ინტერესი სამი მიმართულებით ვითარდებოდა: ვისცერული სისტემების ფიზიოლოგია, ნეიროფიზიოლოგია და ნეიროფსიქოლოგია, ექსპერიმენტული კურორტოლოგია და ფიზიოთერაპია.

ალექსანდრე ბაკურაძე, ივანე ბერიტაშვილთან ერთად, ავტორია ფუნდამენტური გამოკვლევებისა ზურგის ტვინის ფიზიოლოგიაში, რომელსაც მოჰყვა უკუშეკავების მოვლენისა და შემაკავებელი ნეირონების აღმოჩენა (1940). ა. ბაკურაძემ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ზურგის ტვინის ბიოპოტენციალების ელექტროგრაფიული რეგისტრაცია და აჩვენა, რომ ზურგის ტვინის ზოგადი შეკავება ხორციელდება როლანდის ჟელატინისებური სუბსტანციის მეშვეობით. თანამშრომლებთან ერთად, მან, საქართველოში პირველმა, დაიწყო პრიმატებში დასწავლისა და მეხსიერების პრობლემების დამუშავება, მეხსიერების პროცესებში ტვინის ცალკეული სტრუქტურის, განსაკუთრებით კი – პრეფრონტალური ქერქის როლის შესწავლა. ამ გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ სივრცითი დაყოვნებული რეაქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბსტრატი ცენტრალური ღარის ირგვლივ მდებარე ქერქის შუა და უკანა უბნებია.

ი. პავლოვისა და ი. რაზენკოვისაგან შეთვისებული მრავალი იდეა ალექსანდრე ბაკურაძემ წარმატებით გამოიყენა და განავითარა თავის შემდგომ ნაშრომებში. საყოველთაოდ აღიარებულია ა. ბაკურაძის დამსახურება საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის განვითარებაში, შიმშილისა და მაძღრობის რეგულაციის ნეიროჰუმორული მექანიზმების შესწავლაში. იგი სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებიდანვე დაინტერესდა ი. პავლოვის ნაშრომებით საჭმლის მონელების ფიზიოლოგიაში და მის ლაბორატორიაშივე აითვისა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის და პირობითი რეფლექსების კვლევის რთული მეთოდები.

ცხოველების საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის საკითხების შესწავლის პროცესში ა. ბაკურაძე ცდილობდა გაერკვია ნერვული სისტემის როლი საჭმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციის რეგულაციაში. ამ მიზნით შესწავლილი იყო ტვინის ღეროს რეტიკულური ფორმაცია, ჰიპოთალამუსი, ლიმბური სისტემა და ტვინის სხვა სტრუქტურები. მან დაადგინა ნერვული სისტემის როლი გასტროინტეტინური ჰორმონების – გასტრინისა და დუოდენური სეკრეტინის – წარმოქმნასა და რეგულაციაში, აგრეთვე, დადგენილ იქნა კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციული მოქმედების დროს ამ ჰორმონების სისხლში გადასვლის ნერვული მექანიზმი. ი. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მიერ პანკრეასზე ფისტულის დადების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ, ალექსანდრე ბაკურაძემ შეარჩია პანკრეასზე ფისტულის უვნებლად დადების ადგილი, ფისტულაში მოათავსა მის მიერ კონსტრუირებული მსუბუქი, ორიგინალური კანულა, რომლითაც მარტივად, სპეციალური ონკანის საშუალებით შესაძლებელი გახდა პანკრეასის წვენის გარეთ გამოტანა და შესწავლა, ან პანკრეასის წვენის ბუნებრივი გზით თორმეტგოჯა ნაწლავში მისი სეკრეტირება. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ეძღვნება შიმშილისა და მაძღრობის მექანიზმების შესწავლას. მანვე შეიმუშავა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში სეკრეციული პროცესების კვლევის სხვა ორიგინალური მეთოდები.

ალექსანდრე ბაკურაძემ დაამუშავა ავადმყოფთა გამოკვლევის და მკურნალობის ზოგიერთი მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა გასტროენტეროლოგიური პროფილის სანატორიუმებში. იგი, აგრეთვე, აქტიურად შეისწავლიდა საჭმლის მომნელებელი და გამომყოფი სისტემის ურთიერთკავშირსა და ურთიერთგავლენას, მათ ურთიერთმაკორეგირებელ მოქმედებას.

ალექსანდრე ბაკურაძის ნაშრომები ექსპერიმენტული კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სფეროში შეეხება ფიზიკური და კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებას საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე, ექსპერიმენტული ართრიტების მიმდინარეობაზე, პერიფერიული ნერვული სისტემის აღდგენასა და ჭრილობების შეხორცებაზე.

ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ბაკურაძის მიერ დამუშავებული ბალნეოლოგიური ფაქტორების ორგანიზმზე მოქმედების ერთიანი ნეიროჰუმორული და კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციულ ფუნქციაზე მინერალური წყლების გავლენის თეორიები, რომლებმაც კურორტოლოგთა შორის საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

1941-45 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ალექსანდრე ბაკურაძე მუშაობდა ევაკოჰოსპიტლებში, სადაც თავში დაჭრის შედეგად კონტუზირებულ და ეპილეფსიით დაავადებულ მებრძოლებს ელექტროენცეფალოგრაფიულ გამოკვლევებს უტარებდა. ა. ბაკურაძემ, ი. ბერიტაშვილთან და სხვა მეცნიერებთან ერთად, ექსპერიმენტულად შეისწავლა აფეთქების ტალღის მოქმედება ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე და აფეთქებით გამოწვეული დაზიანებისგან დაცვის საშუალებები შეიმუშავა. იმავე პერიოდში ალექსანდრე ბაკურაძემ თბილისის ფარმაცევტულ ქარხანაში ააწყო კუჭის ნატურალური წვენის წარმოება და ამით ნაწილობრივ მაინც შეავსო ამ პრეპარატის დეფიციტი, რადგან მისი მწარმოებელი ქარხნები იმხანად ოკუპაციის არეალში იყო.

ალექსანდრე ბაკურაძეს დიდი დამსახურება აქვს ექიმთა მრავალი თაობის აღზრდაში, მან შექმნა დიდი სამეცნიერო სკოლა. ალექსანდრე ბაკურაძე 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიის ავტორია. მათი უმეტესობა ქრესტომათიულია მკვლევარი ფიზიოლოგებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ალექსანდრე, მოწაფეების მხრივ რეკორდსმენი იყო. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულდა 27 სადოქტორო და 92-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია მედიცინის არაერთი მიმართულებით: ფიზიოლოგია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, კარდიოლოგია, კურორტოლოგია და ფიზიოთერაპია, გასტროენტეროლოგია, თერაპია, უროლოგია, კანისა და ვენერიული სნეულებები, ფარმაკოლოგია, ბიოფიზიკა, პათოფიზიოლოგია, ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია. მისი მოსწავლეები, ქართველებთან ერთად, იყვნენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, დაღესტნელები, ჩეჩნები, ყაზახები,....

ბატონი ალექსანდრე, მეცნიერებაში მართლაც რომ ნამდვილი დიდოსტატი, უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალი, ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი, ფილიგრანული ქირურგი, ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი, მრავალი აღმოჩენისა და მეცნიერული ფაქტის ავტორი, ორიგინალურად მოაზროვნე, მიღებული ახალი მონაცემების მართებულად განსჯის, საკუთარი და სხვა მკვლევრების მონაცემების ახლებურად და სისტემურად გაანალიზების უნარის მქონე ადამიანი ბრძანდებოდა. თუნდაც, იმის გახსენებაა საკმარისი, რომ ცნობილი ქართველი დასტაქარი, არჩილ ერისთავი, ალექსანდრე ბაკურაძის ხელმძღვანელობით და მასთან ერთად, ეუფლებოდა „პატარა კუჭის" ნატიფ და რთულ მეთოდოლოგიას.

ამასთან, ალექსანდრე ბაკურაძე, უნიჭიერესი მეცნიერი და მკვლევარი, შესანიშნავი პედაგოგი გახლდათ. მისი ლექციები და ლექციებზე დემონსტრირებული ორიგინალური ექსპერიმენტები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მისაბაძი იყო კოლეგებისა და ახალგაზრდებისათვის. მის მიერ ჩატარებული გამოცდა არა მარტო და არა იმდენად სტუდენტის შეფასების პროცესი იყო, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის აკადემიური ურთიერთობის გაგრძელებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სწავლის ეტაპსაც კი წარმოადგენდა. ამის მიღწევა ხომ კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ჰუმანურობის შერწყმის გარეშე შეუძლებელია.

ალექსანდრე ბაკურაძის 55 წლის სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მასთან თანამშრომლობდა მრავალი წარმატებული მეცნიერი და პედაგოგი.

აი, მისი თანამოაზრეებისა და მოსწავლეების არასრული სია, ვინც დღეს ჩვენს შორის აღარ არის, ვინც დამოუკიდებლად და, ყველამ ერთად, გამოკვეთილი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში, მისი განვითარების რთულ, არაერთმნიშვნელოვან პერიოდში და განსაზღვრა ქართული სამეცნიერო სიტყვის ოქროს ხანა: **გიორგი ვაწაძე, დიმიტრი გედევანიშვილი, ოსიკო გელაშვილი, ნინო ბებურიშვილი, აკაკი ფანცხავა, სალომე კლიმიაშვილი, ნადეჟდა სალუქვაძე, ზურაბ კობახიძე, ავთანდილ აბესაძე, ალეკო სიხარულიძე, ოთარ მდინარაძე, გოგი დემეტრაძე, გორგასლან მირზიაშვილი, კარლ შტრაუსი, მიხეილ მინდაძე, რევაზ ჩუბინიძე, თენგიზ ახმეტელი, გიორგი ბოჭორიშვილი (უფროსი), დავით ტვილდიანი, გივი ვეფხვაძე, მეგი დათეშიძე, თინათინ ნიკოლაევა, არჩილ ასათიანი...** ბატონმა არჩილმა გადაიბარა და ღირსეულად განაგრძო მისი მასწავლებლის დაწყებული საქმე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე.

ბატონი ალექსანდრეს პიროვნულ თვისებათა პალიტრა ძალზე მდიდარია: უაღრესად გულისხმიერი, დაუზარელი, პრინციპული, მომთხოვნი, ამავდროულად – ძალიან სადა, კეთილი, გულგაშლილი და ხელგაშლილი; იგი სიამოვნებით და დაუმადლებლად იძლეოდა რჩევა-დარიგებებს, უზიარებდა თავის დიდ გამოცდილებას ყველას, ვინც კი მას მიმართავდა.

იგი გახლდათ ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი; მრავალჯერ იყო არჩეული ი. ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრად (სწავლული მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე) და ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად; ხელმძღვანელობდა ქართული ენციკლოპედიის ფიზიოლოგიის სექციას, იყო რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

ალექსანდრე ბაკურაძე მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის, ექსპერიმენტული კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე მასშტაბური, საკმაოდ ფართო გეოგრაფიის მქონე კონფერენციის ორგანიზატორი ბრძანდებოდა. მისი ღვაწლი ქართული სამეცნიერო სკოლის და სამედიცინო განათლების სფეროში აღნიშნულია ი. თარხნიშვილის პრემიით, მრავალი სახელმწიფო ჯილდოთი. იგი უყვარს ყველას და პატივს სცემს ყველა, ვისაც ადამიანური თუ საქმიანი კონტაქტი ჰქონია მასთან; მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა კიდევ დიდხანს იქნება ორიენტირი ქართული ბუნებისმეტყველებისა და მედიცინის დარგში მოღვაწე მკვლევრებისთვის.

პროფესორი გურამ ბექაია,
საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო კონსულტანტი

პროფესორი ირინე კვაჭაძე,
საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

აკაკი და მედიცინა

2015 წლის 25 დეკემბერს ცნობილი ქართველი მეცნიერის, მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, თსსუ-ის პროფესორ **მიხეილ შენგელიას** დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღს ჩვენ კიდევ ერთხელ ვრცლად გამოვეხმაურებით, ამჯერად კი ერთ საიუბილეო თარიღს მეორეს დავუკავშირებთ – აკაკი წერეთლის დაბადებიდან – 175, გარდაცვალებიდან კი 100 წელი შესრულდა; 2015 წელი იუნესკომ აკაკის წლად გამოაცხადა.

55 წლის წინ პროფესორმა მიხეილ შენგელიამ შეისწავლა და აკაკის დაბადებიდან 120 წლისთავის აღსანიშნავად გამოაქვეყნა წერილი **„აკაკი და მედიცინა"**. აქ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტია თავმოყრილი: როგორ იყო განვითარებული ხალხური მედიცინა და ვინ იყო აკაკის მკურნალი ექიმი, რა ხალხური წამლების რეცეპტები ჰქონდა შენახული აკაკის და როგორ აისახა მის შემოქმედებაში მედიცინის საკითხები.

აკაკის ოჯახში ხალხური მედიცინა აქტუალური გახლდათ, დედა – ეკატერინე და და – ანა წამლებს ამზადებდნენ და უანგაროდ ეხმარებოდნენ იქაურებს.

ხალხური მედიცინის რეცეპტებს აკაკი წერეთელიც დიდი ინტერესით ეკიდებოდა. „აღსანიშნავია, რომ აკაკის არქივში ინახება ერთი ხელნაწერი სამკურნალო რეცეპტი: ე.წ. კუზმიჩის ბალახი, – წერს მიხეილ შენგელია თავის წერილში. თუმცა აკაკის კარგად ესმოდა, რომ ექიმის დახმარებას ალტერნატივა არ გააჩნდა. ამიტომაც იყო, თავგამოდებით იბრძოდა საჩხერეში საავადმყოფოს გახსნისთვის.

„მგოსან აკაკის მეთაურობით საჩხერელ წარჩინებულ პირებს მიუმართავთ ქუთაისის გუბერნატორისათვის თხოვნით, რათა საჩხერეში გახსნილიყო საავადმყოფო ექიმით", რის შედეგად გაუხსნიათ მხოლოდ საფერშლო პუნქტი აფთიაქით, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ დაუხურავთ, რასაც დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მოსახლეობაში".

საქართველოს უსაყვარლესი მგოსანი დიდ პატივს მიაგებდა მედიკოსებს. ცნობილი ექიმი, **სამსონ თოფურია**, მისი მკურნალი ექიმი გახლდათ. „სამსონ თოფურია აკაკის დიდი პატივისმცემელი და მისი ჯანმრთელობისთვის თავგამოდებული მზრუნველი იყო, – წერს მიხეილ შენგელია, – აკაკი ავადმყოფობის დროს სამსონ თოფურიას საავადმყოფოში იწვა, განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით გარემოსილი. გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და არ ივიწყებდნენ სამსონ თოფურიას „სიმხნევესა და მეცადინეობას" აკაკის გამოჯანმრთელებისთვის. გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე აკაკიმ საგანგებო მადლობის წერილიც მოათავსა, სადაც წერს: „არ შემიძლიან სიკვდილამდე დავივიწყო ის მოვლა და პატრონობა, რომელიც ბ-ნი თოფურიას საავადმყოფოში გამიწიეს".

სამსონ თოფურიას გარდაცვალება აკაკიმ გულწრფელად განიცადა, ასევე, მწუხარებით გამოეხმაურა იგი ცნობილი ოფთალმოლოგის, გრიგოლ ტარსაიძის, გარდაცვალებას. მგოსნისათვის მედიცინა და ექიმები ბოლომდე დარჩნენ დიდი პატივისცემის ობიექტად.

პროფესორმა მიხეილ შენგელიამ მედიცინის ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი ამბავი გამოსტაცა დავიწყებას.

ფესტივალი – „ნიღაბი 2015“
„ჰიგიას“ კიდევ ერთი წარმატება

თეატრის მოყვარული საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ყოველწლიური ფესტივალი „ნიღაბის“ შესახებ, რომელიც 2012 წელს შექმნილი „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ ინიციატივით დაარსდა. საერთაშორისო ფესტივალი წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა და მისი მასპინძელი, ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყო.

ფესტივალ **„ნიღაბში“** მონაწილეობდნენ სტუდენტური თეატრალური დასები საქართველოსა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ქუთაისის ქელბაქიანის სახელობის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზიური გუნდი, თურქეთის სტუდენტური დასი, ლატვიის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი.

ფესტივალის მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური: **გოგი თოდაძე** (რეჟისორი), **ნიკა წულუკიძე** (თეატრმცოდნე), **ჯემალ ღაღანიძე** (მსახიობი), **კახა მიქიაშვილი** (მსახიობი), **თამუნა ნიკოლაძე** (მსახიობი), **ლელა მებურიშვილი** (მსახიობი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრმა „ჰიგიამ“ ფესტივალზე **„ქეთო და კოტე“** წარმოადგინა და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

თეატრის რეჟისორმა და ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, **ნათია გუჯაბიძემ**, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალი საერთაშორისოა და ინტერესიც დიდია სხვა ქვეყნებიდან. თუკი შარშან ფესტივალში თურქეთის და უკრაინის თეატრალური დასები მონაწილეოდნენ, წელს ლატვიის უნივერსიტეტიც დაემატა. საქართველოს ორმა უმაღლესმა სასწავლებელმა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა და საქართველოს უნივერსიტეტმა სწორედ ამ ფესტივალისთვის დაარსა თეატრალური დასები და ჩაერთნენ ფესტივალში. „ჰიგია“ ამჯერად კომედიით წარდგა მაყურებლის წინაშე, რაც გაცილებით რთული მისია და დიდი პასუხისმგებლობა იყო. სიახლე გახლდათ ისიც, რომ შეიცვალა თაობა და „ქეთო და კოტეში“, ძირითადად, ახალი თაობის მსახიობები მონაწილეობდნენ. მიხარია, რომ სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა, რაც მიღწეული შედეგითაც დადასტურდა.“

გავესაუბრეთ „ჰიგიას“ მსახიობებს, თსსუ-ის სტუდენტებს: **სალომე გიორგაძეს** და **გიორგი ხარჩილავას**, რომლებიც, შთაბეჭდილებებით დატვირთულები, კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ: „ფესტივალ „ნიღაბში“ ადრეც ვმონაწილეობდით და, უნდა ითქვას, ბევრი რამ იყო დასამახსოვრებელი: შევიძინეთ ახალი მეგობრები როგორც საქართველოდან, ისე – სხვა ქვეყნებიდან. განსაკუთრებით თბილი ურთიერთობები გვაკავშირებს უკრაინელ თანატოლებთან. ეს კონტაქტები გრძელდება, რაც უფრო საინტერესოს ხდის ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებას და მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდის თვალსაზრისითაც... “.

ავქსენტი ცაგარელის „ხანუმას“ მიხედვით დადგმული „ქეთო და კოტეს“ პრემიერა „ჰიგიამ“ პირველად რამდენიმე წლის წინ წარმოადგინა. მაშინაც და ახლაც სრული ანშლაგი ცხადყოფდა დიდ ინტერესს სპექტაკლისადმი. ამჯერად კიდევ უფრო რთული მისია დაეკისრათ თეატრის რეჟისორს და ახალი თაობის მსახიობებს: განსხვავებული და კიდევ უფრო გათანამედროვებული ვერსიით მიეტანათ სათქმელი მაყურებლამდე. დასამახსოვრებელი იყო ახალგაზრდა მსახიობების, მომავალი ექიმების, სამსახიობო ოსტატობა და შთამბეჭდავი პასაჟები წარმოდგენიდან (მაგ: „თავადები და სომხები“). თსსუ-ის სტუდენტმა მსახიობებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ მისიას, რაც არა მხოლოდ მაყურებლის ოვაციებმა, არამედ ფესტივალის საბოლოო შედეგმაც დაადასტურა: ათი ნომინაციიდან ოთხ ნომინაციაში გამარჯვება წილად ხვდა „ჰიგიას“. გამარჯვებულებად დასახელდნენ:

მამაკაცის კომედიური როლის საუკეთესო შესრულებისთვის **გიორგი კოლხიდაშვილი** და **ზურა ყიფშიძე** (სიკო და ნიკო); ქალის მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისთვის – **ნინო შანშიაშვილი** (ქაბატო); თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის რჩეული – **ირაკლი ბერიძე** (კოტე); ფესტივალის აღმოჩენა – **თამარ ჟღენტი** (სონა).

„არაჩვეულებრივი და მაღალი დონის წარმოდგენა, რომელიც დაამშვენებდა ნებისმიერ პროფესიულ თეატრს“, – ასე შეაფასა სპექტაკლი ჩვენთან საუბრისას ცნობილმა რეჟისორმა, **გოგი თოდაძემ**, რომელმაც აღფრთოვანება გამოხატა არაპროფესიონალი მსახიობების, მომავალი ექიმების, სამსახიობო ოსტატობის გამო.

„ჰიგიას“ რეჟისორი და მსახიობები მადლობას უხდიან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სპორტის და ხელოვნების ცენტრს, მაყურებელს, მაქსიმალური ხელშეწყობისა და თანადგომისთვის და დამდეგ ახალ წელს ულოცავენ მათ.

ჩვენც სიამოვნებით მივულოცავთ „ჰიგიას“ ახალ წელს და არაერთ წარმატებას ვუსურვებთ მომავალშიც.

ნატო ბოლქვაძე

საdიაგნოსტიკო და სამკურნალო მანიპულაციები



ახლახან გამოიცა გამოცდილი ონკოლოგისა და პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტის, თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტმენტის პროფესორის, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, **მიხეილ შავდიას** ახალი წიგნი – **„სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მანიპულაციები“**. მასში დეტალურად და კვალიფიციურადაა აღწერილი 150 სხვადასხვა მანიპულაცია, უკუჩვენება, ანესთეზიის საჭიროება, პაციენტის მდებარეობა და მანიპულაციის ტექნიკური წარმოება, მოსალოდ-ნელი გართულებები და მათი პრევენცია, რაც წარმოდგენილია შესაბამისი დასურათებით 300 გვერდზე. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში მიუთითებს, წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდა ექიმებისთვის, რათა მათ შეძლონ შესაბამისი უნარჩვევების დახვეწა და პრაქტიკული განხორციელება არა მარტო საოპერაციოში, არამედ მის გარეთ რთულ სიტუაციებში.

წიგნი, რომელიც რეკომენდებულია, როგორც ახალი დამხმარე სასწავლო ლიტერატურა, უდავოდ, მნიშვნელოვან დახმარებას აღმოუჩენს მომავალ ექიმებს პროფესიული საქმიანობის დახვეწაში.

ვიქტორინა სტუდენტებისთვის

ექიმი, ფსიქიატრი, პროფესორი თეიმურაზ სილაგაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, გარდა პროფესიული საქმიანობისა, იგი ორი წიგნის ავტორიცაა, რომელიც საინტერესოა ჟანრთა მრავალფეროვნებით – ისტორიულ მოთხრობები, ნოველები, მოგონებები ცნობილ ფსიქიატრებზე... ამჯერად, მკითხველს ვთავაზობთ თეიმურაზ სილაგაძის სახალისო ვიქტორინას.

1. თრაკიის საზღვარზე მდებარე, ოქროს საბადოებით განთქმულ ქალაქ აბდერში, კუნძულ კოსიდან, რომელზედაც ასკლეპიოსის ტაძარი მდებარეობდა, ცნობილი ექიმი მოიწვიეს. საქმე ქალაქ აბდერის ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქის ფსიქიკურ ჯანმრთელობას ეხებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მოქალაქე დიდი ფილოსოფოსის, ლევკიპე მილეთელის საუკეთესო მოწაფე გახლდათ, სწორედ იმ ლევკიპე მილეთელისა, რომელმაც ბრძანა, რომ არ არსებობს მოქმედება მიზეზის გარეშე და რომ ყველაფერი აუცილებლობითაა განპირობებული.

მთელი ქალაქი ინტერესით ელოდა „ექსპერტიზის“ შედეგს.

როგორც იქნა, მკურნალი გამოვიდა პაციენტის სახლიდან, ხელები გაშალა და იქ შეკრებილ ცნობისმოყვარეებს მიმართა: ასეთი ნათელი გონების ადამიანი მე ჯერ არ შემხვედრია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი მის თანამოქალაქეებზე.

დაასახელეთ მკურნალი და პაციენტი

2. ფსიქიატრიაში ერთ-ერთ უხეშ შეცდომად, სუიციდუმის რისკის შეუფასებლობა, ან არასათანადო შეფასება ითვლება. ასეთი შეცდომა მეიოს (ქ. როჩესტერი ა.შ.შ) კლინიკის, ფსიქიატრიული განყოფილების ექიმებსაც მოუვიდათ, როდესაც ამ კლინიკიდან გაწერილმა პაციენტმა რამდენიმე დღეში, საკუთარ სახლში, ქალაქ კეტჩუმში (აიდახოს შტატი, ა.შ.შ.) 1961 წლის 2 ივლისს თავი მოიკლა.

გამოიცანით პაციენტის ვინაობა.

3. 30 წლის ასაკში ჟურნალმა “Fortune” იგი ამერიკის მათემატიკის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნია, თუმცა, ამან ხელი ვერ შეუშალა იმ ფაქტს, რომ მომდევნო წელს სამსახურიდან გაეგდოთ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი წესით მოეთავსებინათ. პრობლემები მას არც შემდეგ მოკლებია, მაგრამ ეს პრობლემები არაფერია მის წარმატებებთან, აღიარებასთან შედარებით. მას 1994 წელს, ეკონომიკის დარგში, ნობელის პრემია მიენიჭა.

დაასახელეთ მათემატიკოსის ვინაობა.

ვიქტორინის პასუხები იხილეთ „სამედიცინო გაზეთის“ შემდეგ ნომერში

როგორ არ გავხდი ექიმი



ყველასთვის საყვარელი არტისტი კახი კავსაძე ყვება: 8 თვე იყო ბიძაჩემი ავად. ცნობილ უროლოგთან, ალექსანდრე გზირიშვილთან იწვა განყოფილებაში. მივდიოდით სანახავად.

ისე გავშინაურდი, ერთხელ ვკითხე ბატონ ალექსანდრეს, შეიძლება ოპერაციას დავესწრო-მეთქი. ნება დამრთო, მაგრამ გამაფრთხილა: ბევრს გული მისდის, იცოდეო. ჩემზე ასე არ უმოქმედია, პირიქით, მაინტერესებდა ოპერაციის პროცესი. ჩავყავი ცხვირი ჭრილობაში. მერე კითხვები გამიჩნდა... ბატონმა ალექსანდრემ წიგნები მომცა... წავიკითხე... მოკლედ, ისე ჩავერთე, რომ გადავწყვიტე ექიმობა. არადა, უკვე არტისტი ვიყავი და თეატრში როლებიც მქონდა.

დავიწყე საავადმყოფოში აქტიური სიარული. ვხედავდი, ქირურგები ჩაატარებდნენ ოპერაციას და წავიდოდნენ. მოვიდოდნენ ქალები – სანიტრები, პაციენტს ერთი კისერში მოჰკიდებდა ხელს, მეორე – ფეხებში, აწევდნენ და საკაცეზე გადაიყვანდნენ. კვნესოდა ნაოპერაციები... მერე ლოგინშიც ასე ტანჯვით გადაჰყავდათ. მოგეხმარებით-მეთქი, შევთავაზე. ნება დამრთეს. შევუყოფდი ხელებს ზურგთან პაციენტს, ციმციმ ავწევდი და დავაწვენდი ლოგინში. ასეთი მონდომებული რომ მნახეს, დამაწყებინეს სანიტრად მუშაობა. ჯამაგირიც მომცეს. პარალელურად თეატრშიც ვრჩებოდი... სპექტაკლში „პეპო“ ვთამაშობდი კაკულის როლს. დავპატიჟე ალექსანდრე გზირიშვილი ოჯახთან ერთად. სპექტაკლი რომ დასრულდა, პატარა გვირგვინი ამომიტანეს სცენაზე. ბარათი ახლდა: „ჩემო კახი, მოდი, ყველამ თავისი საქმე აკეთოს! ალექსანდრე გზირიშვილი“.

ასე დასრულდა ჩემი ექიმობისთვის მზადების ამბავი...

ყველამ თავისი საქმე აკეთოს – ეს ძალიან კარგი სურვილია საახალწლოდაც და ამასვე გისურვებთ ყველას...

მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია:
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33;
ოთახი №600
ტ.: 254-24-64
რედაქტორი:
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17-08-47
ნატო ბოლქვაძე
ტ.: 555 28-28-97
ელ.ფოსტა:
newspapertsmu@gmail.com